

ბიზნესის სკოლა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

კ უ რ უ კ უ ლ უ მ ი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
ბიზნესის ადმინისტრირება/ Business Administration
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
დოქტორანტურა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი/ Doctor of Business Administration
სწავლების ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე
პროგრამის მოცულობა
<p>ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტს შეიძლება არაუმეტეს 60 კრედიტისა. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 წელზე ნაკლები.</p>
პროგრამის მიზნები
<p>ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად კვლევითი საქმიანობისათვის სამეცნიერო კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ფართო, ღრმა, სისტემური კვლევის წარმოებას; • არსებული პრობლემური საკითხების გამოვლენა და მასზე მეცნიერული კვლევის წარმოება ბიზნესის ადმინისტრირებაში; • მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის გზების ძიება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; • ბიზნესის ადმინისტრირებაში მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, რომელიც წარმოაჩენს სიახლეს შესაბამისი საკითხის შესწავლა-განვითარებაში; • უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად თანამედროვე სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიით აღჭურვილი ახალი აკადემიური კადრის მომზადება.
პროგრამაზე დაშვების წინა პირობა
<p>ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მქონე პირს.</p>

დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ „B2“ დონეზე ცოდნა, რაც დასტურდება ტესტირებით. პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი ან/და წარმოადგენს პირველი, მეორე ან მესამე საფეხურის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინგლისურ ენაზე არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლის დამადასტურებელ საბუთს, ტესტირებისგან თავისუფლდება.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა განისაზღვრება ბიზნესის სკოლის (ფაკულტეტის) დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე მიღება შეიძლება გამოცხადდეს წელიწადში ორჯერ - შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებისთვის.

დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაიკავოს აკადემიური თანამდებობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სწავლის შედეგები

დოქტორანტს შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირების უახლეს მიღწევებზე დამყარებული სრულყოფილი ცოდნის საფუძველზე და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და დაწეროს სადისერტაციო ნაშრომი
- სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრების საფუძველზე განიხილოს ბიზნეს ადმინისტრირების თანამედროვე პრობლემატიკა, მათ შორის მულტიდისციპლინარულ ან ინტერდისციპლინარულ კონტექსტში
- ბიზნესის ადმინისტრირების დარგებში საერთაშორისო რეფერირებად ან რეცენზირებად პუბლიკაციაზე მუშაობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, მოხსენების მომზადება;
- ენობრივი სიტუაციის სწორად შეფასება, შესაძლო ენობრივი კონფლიქტების განჭვრეტა და მშვიდობიანად დარეგულირება;
- დებატებში ჩართვა, განსხვავებული აზრის გაგება და ბიზნეს ადმინისტრირების საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთება; ყველა შესაბამისი წყაროს მოძიება, განმარტება და გამოყენება; ფაქტებისა და თეორიული ცოდნის შეჯერება და ობიექტურად შეფასება;

- პრობლემური სიტუაციის გაანალიზების საფუძველზე საჭირო კვლევის მეთოდისა და დიზაინის შემუშავება
- ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- არსებული ან მოსალოდნელი პრობლემური სიტუაციის აღქმა და ჰიპოთეზების ფორმულირება.
- დამოუკიდებლად გაანალიზოს ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა პრობლემა, დაგეგმოს და ჩატაროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული მეცნიერული კვლევა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში.

სწავლება-სწავლის მეთოდები

ლექცია სამუშაო ჯგუფში მუშაობა სემინარი პრაქტიკული მუშაობა

პროექტი ელექტრონული რესურსით სწავლება სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების სისტემა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო/თავისუფალ კომპონენტს.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი და მისი შეფასების წესი:

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სამეცნიერო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი იყოფა სავალდებულო და არჩევით ელემენტებად. დოქტორანტი ჩარიცხვიდან ერთი თვის განმავლობაში თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სასწავლო კომპონენტის შინაარსი და შეფასების სისტემა აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სემესტრის დასაწყისში.

#	საგნის კოდი	სასწავლო კომპონენტი	დაშვების წინაპირობა	სავარაუდო სემესტრი	ECTS კრედიტი	საათი		
						საკონტაქტო	დამოუკიდებელი	სულ
სავალდებულო სასწავლო კომპონენტი 30 კრედიტი								
1	PhD8006	კვლევის მეთოდები (ხარისხობრივი ან რაოდენობრივი)	არ გააჩნია	1-2	10	24	226	250
2	PhD0003	პროფესორის ასისტენტობა	არ გააჩნია	1-2	10	64	186	250
3	PhD8007	აკადემიური წერა	არ გააჩნია	1-2	10	21	229	250
არჩევითი სასწავლო კომპონენტიდან აუცილებელია 30 კრედიტის დაგროვება შეთავაზებული 40 კრედიტიდან								
1	PhD7011	სტატისტიკისა და პროგნოზირების მეთოდები ბიზნესში	არ გააჩნია	1-2	5	48	77	125
2	PhD9001	უცხო ენა - ინგლისური (C1-I)	PhD9001	1	5	46	79	125
3	PhD9002	უცხო ენა – ინგლისური (C1-II)	არ გააჩნია	2	5	46	79	125
4	PhD8005	სწავლების მეთოდები	არ გააჩნია	1-2	10	24	226	250
5	PhD7001	მათემატიკური მოდელირება	არ გააჩნია	1-2	5	46	79	125
6	PhD1001	თემატური სემინარი	არ გააჩნია	2-3	15	32	343	375

სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს, რომელსაც დოქტორანტი აგროვებს არჩევითი სასწავლო კომპონენტის ნაცვლად ბიზნესის სკოლაში (ფაკულტეტზე) ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან დაგროვებული კრედიტების საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აღიარების შემთხვევაში.

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში დოქტორანტის აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს დასკვნით შეფასებას - 100 ქულას. შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს დოქტორანტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და

ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. დოქტორანტს კრედიტო ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

(FX) - ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი და მისი შეფასების წესი:

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სამეცნიერო ნაშრომი - დისერტაცია, რომლის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და დაცვით.

დისერტაცია არის დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგი, რომელიც უნდა ასახავდეს თეორიული ან/და ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს ან/და წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას,

ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს სამეცნიერო დარგის განვითარებაში. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობას დოქტორანტი ახორციელებს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით. დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება წარმოებს კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით, საიდანაც გამოითვლება ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი იყოფა კომისიის წევრთა რაოდენობაზე).

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შეფასების შემდეგი სისტემის მიხედვით:

დადებითი შეფასებები

ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა;

ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებები

არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;

სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დისერტაციის შეფასებისას გამოყენებული მეთოდები და კრიტერიუმები:

კომისიის წევრთა მიერ დისერტაციის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები
დისერტაციის წერთი შეფასება - 60 ქულა
დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი - 5 ქულა
პრობლემის ხედვა და საკითხის მკაფიოდ დასმა - 5 ქულა
სადისერტაციო ნაშრომის სათანადო სტრუქტურისა და სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დასახული კვლევითი ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტის საშუალებას იძლევა - 5 ქულა
ადეკვატური კვლევის მეთოდების შერჩევა - 5 ქულა
ინოვაციური აზროვნება - 5 ქულა
მსჯელობის თანმიმდევრულობა და ლაკონურობა - 5 ქულა
კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა - 5 ქულა
საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო და ციტირებული ლიტერატურის, ფაქტობრივი მონაცემების დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი - 5 ქულა
ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება - 5 ქულა
დასკვნები და შედეგები, პრობლემის გადაჭრა - 5 ქულა
აკადემიური წერის კულტურა - 5 ქულა
დისერტაციის გაფორმების (მათ შორის მითითების/ციტირების) სათანადო წესის/წესების დაცვა - 5 ქულა
პრეზენტაცია - 30 ქულა
სადისერტაციო თემის აქტუალობის და სიახლის წარმოჩენა - 5 ქულა
სადისერტაციო თემის სისტემური კვლევა და კავშირი კვლევის მიზნებთან და შედეგებთან - 5 ქულა
მასალის მიწოდების უნარი - საუბრობს წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე და ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით - 5 ქულა
სადისერტაციო ნაშრომში დასმული ძირითადი პრობლემის/პრობლემების წარმოჩენა - 5 ქულა

პრეზენტაციის სტრუქტურა (ვიზუალური და შინაარსობრივი მხარე) – 5 ქულა
პრეზენტაციის ორგანიზება - 5 ქულა
სამეცნიერო კამათი/დისპუტი - 10 ქულა
სამეცნიერო კამათში მონაწილეობს თვითდაჯერებულად, იშველიებს შესაბამის არგუმენტაციას - 5 ქულა
შეკითხვებს პასუხობს ადეკვატურად და სრულად - 5 ქულა
<p>წაყენებულ მოთხოვნათა შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> ● 5 - სრულყოფილად პასუხობს. ● 4 – მნიშვნელოვნად შეესაბამება, მცირე უზუსტობით; ● 3 – შეესაბამება, არის ხარვეზი; ● 2 - არსებითად შეესაბამება, არის მნიშვნელოვანი ხარვეზი; ● 1 - ნაწილობრივ შეესაბამება, არის არსებითი ხარვეზი; ● 0 - არ შეესაბამება;
<p>დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების წესი:</p> <p>სადისერტაციო თემის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 120 და არაუმეტეს 150 გვერდისა. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს სადისერტაციო თემის გვერდების განსხვავებული ზედა ზღვარი.</p> <p>დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება დისერტაციის ინგლისურ ენაზე შესრულება.</p> <p>დისერტაცია უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297X210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. ტექნოლოგიური სქემებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.</p> <p>მარცხენა მინდორი უნდა იყოს – 40 მმ, დანარჩენი მინდვრები – 25 მმ.</p> <p>ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს Sylfaen-ის სტანდარტული შრიფტით, ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი.</p> <p>გვერდები უნდა დაინომროს თანმიმდევრობით. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში არაბული ციფრებით.</p>

ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.

ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.

სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან ნაშრომის ბოლოს, შრიფტის ზომა – 10. სქოლიოს ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით და თანმიმდევრულია.

სადისერტაციო ნაშრომი უნდა შედგებოდეს:

- სატიტულო ფურცელი;
- საავტორო უფლების გვერდი;
- სარჩევი;
- გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში);
- ძირითადი ტექსტი: შესავალი, შედეგები და მათი განსჯა, დასკვნა;
- სქოლიო (სქოლიოს ნაშრომის ბოლოს განთავსების შემთხვევაში);
- ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
- დანართები.

სატიტულო ფურცელი - აუცილებლად უნდა მოიცავდეს უნივერსიტეტის ლოგოს, უნივერსიტეტის და სკოლის სახელწოდებას ,, დისერტაციის დასახელებას, დოქტორანტის გვარს, სახელს და ტექსტს „წარდგენილია ----- დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, „თბილისი, 0160, საქართველო“. მასზე ასევე უნდა განთავსდეს წელი, როდესაც არის დანიშნული დისერტაციის მოხსენება. აღნიშნული გვერდის ნომერი არის (1), თუმცა იგი არ მიეთითება;

საავტორო უფლების გვერდი - დისერტაციის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ორიგინალური ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ავტორის გვარს, სახელს, თემის დასახელებას. იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტს „როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს მიერ შესრულებულ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

დისერტაცია უნდა შეიცავდეს სარჩევს. ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აზხაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „-“, „_“.

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში) - დისერტაციაში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ

მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის;

ძირითადი ტექსტი - უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს, მათ განსჯას და დასკვნას. შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნას დისერტაციაში დასმული პრობლემის მეცნიერული სიახლე, აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. ავტორის მიერ მიღებულ შედეგების და მათი განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სადისერტაციო თემატიკაზე და ავტორს აქვს უფლება იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. დასკვნაში მოცემულია კვლევის შედეგები მოკლედ და ლაკონურად.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს დისერტაციის ბოლოს. ლიტერატურული წყაროს მითითებისას უნდა იქნას დაცული შემდეგი სტილები:

- სტატია - [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური. ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, [ნომერი,] გვ. დასაწისი-დასასრული.
- წიგნი - [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვ.
- ინფორმაცია გლობალური ქსელი - ვებ-გვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.

დანართში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, ცხრილები, სქემები, დიაგრამები და სხვა.

სადისერტაციო ნაშრომი უნდა ჩაიწეროს pdf ფორმატში CD-ROM ან DVD-ROM დისკებზე. დისკზე უნდა იქნას მითითებული ავტორის სახელი და დისერტაციის დასახელება.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

დოქტორანტებისათვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- წიგნადი ფონდითა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები;
- ბიზნესის სკოლაში არსებული კვლევითი ინსტიტუტი, რომელთა ბაზაზე დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს ხელმძღვანელის ზედამხედველობით მონაწილეობა მიიღოს განხორციელებულ პროექტებში და განავითაროს კვლევითი უნარ-ჩვევები.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც სკოლის (ფაკულტეტის), ისე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა/დაბეჭდვაზე და ა. შ.

პროგრამის ხელმძღვანელი

თეიმურაზ ტორონჯაძე (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის, მისი კვალიფიკაციის შესახებ იხილეთ თანდართულ CV-ში)

ადამიანური რესურსი

სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

თეიმურაზ ტორონჯაძე	პროფესორი
მიხეილ მანია	პროფესორი
რევაზ თევზაძე	პროფესორი
დინა ასლამაზიშვილი	პროფესორი
არჩილ იაკობაშვილი	პროფესორი
ნანული ლაზრივა	პროფესორი
ეკა ნადარეიშვილი	ასოცირებული პროფესორი
თამაზ უზუნაშვილი	პროფესორი
ლევან ჯამბურია	ასოცირებული პროფესორი
ნინო ტორონჯაძე	პროფესორი
მიხეილ ჩხენკელი	პროფესორი
მანანა ტაბიძე	მოწვეული ლექტორი
მარი ბანძელაძე	მოწვეული ლექტორი
ქეთევან კალანდაძე	მოწვეული ლექტორი

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

შედეგები	სასწავლო კურსები
<p>დოქტორანტს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის ადმინისტრირების უახლეს მიღწევებზე დამყარებული სრულყოფილი ცოდნის საფუძველზე და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და დაწეროს სადისერტაციო ნაშრომი 	<p>სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევის შეფასება შემდეგ სავალდებულო სასწავლო კურსებში:</p> <p>PhD0001 თეორიულ/სამეცნიერო კვლევა და სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა</p>

<ul style="list-style-type: none"> • სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრების საფუძველზე განიხილოს ბიზნეს ადმინისტრირების თანამედროვე პრობლემატიკა, მათ შორის მულტიდისციპლინარულ ან ინტერდისციპლინარულ კონტექსტში 	<p>PhD8006 კვლევის მეთოდები (ხარისხობრივი ან რაოდენობრივი) PhD8007 აკადემიური წერა</p>
<ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის ადმინისტრირების დარგებში საერთაშორისო რეფერირებად ან რეცენზირებად პუბლიკაციაზე მუშაობა; • სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, მოხსენების მომზადება; 	<p>ბიზნესის ადმინისტრირების პრობლემების:</p> <p>2.1.1 იდენტიფიცირება 2.1.2 ანალიზი 2.1.3 კვლევის მეთოდების შერჩევა 2.1.4 გადაჭრის გზების მოძიება</p>
<ul style="list-style-type: none"> • ენობრივი სიტუაციის სწორად შეფასება, შესაძლო ენობრივი კონფლიქტების განჭვრეტა და მშვიდობიანად დარეგულირება; • დებატებში ჩართვა, განსხვავებული აზრის გაგება და ბიზნეს ადმინისტრირების საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთება; ყველა შესაბამისი წყაროს მოძიება, განმარტება და გამოყენება; ფაქტებისა და თეორიული ცოდნის შეჯერება და ობიექტურად შეფასება; 	<p>2.2.1 პრეზენტაციის სტრუქტურა; 2.2.2 დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ახალი ცოდნის დემონსტრირება; 2.2.3 ცოდნის გარკვევით და დასაბუთებულად წარმოჩენა; 2.2.4 ცოდნის გადაცემისას სამიზნე აუდიტორიის ინტერესის გათვალისწინება; 2.2.5 სამეცნიერო კამათში შესაბამისი არგუმენტაციის მოყვანა;</p>
<ul style="list-style-type: none"> • პრობლემური სიტუაციის გაანალიზების საფუძველზე საჭირო კვლევის მეთოდისა და დიზაინის შემუშავება • ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება; • არსებული ან მოსალოდნელი პრობლემური სიტუაციის აღქმა და ჰიპოთეზების ფორმულირება. 	<p>2.3.1 ანალიზი 2.3.2 დასკვნის ჩამოყალიბება 2.3.3 შედეგების ინტერპრეტირება 2.3.4 პრეზენტაცია, წერილობითი ან/და ზეპირი ფორმით საზოგადოებისათვის წარდგენა.</p>
<ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებლად გაანალიზოს ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა პრობლემა, დაგეგმოს და ჩატაროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული მეცნიერული კვლევა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. 	<p>3.1.1 ნაშრომის დაგეგმვა 3.1.2 ნაშრომში თანამედროვე ინოვაციური თეორიებისა და პრაქტიკული მეთოდების გამოყენება</p>

ცოდნა და გაცნობიერების შედეგების შეფასების კრიტერიუმები

გამოითვლება სავალდებულო კურსების შეწონილი ჯამი.

წონები დამოკიდებულია კურსების კრედიტებზე და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{წონა} = \frac{\text{კურსის კრედიტი}}{\text{სავალდებულო კურსების კრედიტების ჯამი}}$$

თითოეული კურსის შესაფასებლად გამოიყენება სტუდენტების საშუალო შეფასება ამ კურსში

სტუდენტების საშუალო შეფასება კურსების მიხედვით	სამიზნე ნიშნულის ქულები
91-100	5
81-90	4
71-80	3
61-70	2
51-60	1
0-50	0

სავალდებულო სასწავლო კურსებში:	კრედიტი	წონა	მაქსიმალური ქულა
PhD0001 თეორიულ/სამეცნიერო კვლევა და სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა	10	0.33	5
PhD8006 კვლევის მეთოდები (ხარისხობრივი ან რაოდენობრივი)	10	0.33	5
PhD8007 აკადემიური წერა	10	0.33	5

სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები

თითოეული სამიზნე ნიშნული ფასდება 0-დან 5-დე:

A	-	5
B	-	4
C	-	3
D	-	2
E	-	1
F	-	0

	კრიტერიუმები					
	A	B	C	D	E	F
სამიზნე ნიშნული	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიშნოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ძალიან მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება

